ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№47

ქ. თბილისი; 23 ივლისი 2019 წ. 10 : 30 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ქეთევან მამულაშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ნინო ლაცაბიძე
თინათინ წიბლოშვილი
ავთანდილ ცინცაძე
დავით ჭელიძე
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსი ნინო კვეტენაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ვასილ აბულაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - დავით ჯაიანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი - გიგა გიგაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტი - მარიამ ჩივაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ირინა ჭეიშვილი

სხდომის თავმჯდომარე:

**ლევან ჟორჟოლიანი**
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

## დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ „Rockefeller Philanthropy Advisors, Inc- ფონდს“-სშორის „100 მედეგი ქალაქის ინიციატივის ფარგლებში, გაფორმებული გრანტის ხელშეკრულებში“ ცვლილების შეტანის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვას დაქვემდებარებული ხელოვნური ტყეების ბუნებრივ ტყეებად გარდაქმნის მიზნით გრანტის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად“ გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების (NC37466/1413/9665) დანართ B-ში (საკონსულტაციო კონტრაქტი) განსახორციელებელ ცვლილებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

6. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2018 წლის 16 იანვრის N10-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

9. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №42-40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

10. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის N13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

14. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის), ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

15. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

16. „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესი დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-75 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

17. “სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/კ 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 26 სექტემბრის N18.797.1151 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 19 ივნისის N19.679.888 განკარგულებით წარმოდგენილი საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. “ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებული 1082 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: #72.16.21.898) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

19. „ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩა N13-ის შესახვევის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.10.06.001.261) არსებული 16885 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

20. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N26-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი N01.19.19.004.078) არსებული 15803 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

21. "ქალაქ თბილისში, მელაანის მე-V შესახვევის კორპუს N20-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.037.001.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

22. "ქ. თბილისში დიდი დიღომი, IV მიკრო რაიონში, მე-12 კორპუსის მდებარედ არსებული 2359 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.10.07.007.084) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

24. ქ. თბილისში, გოთუას ქუჩის N21-ის მიმდებარედ არსებული 358 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.003.037) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

25. „ქალაქ თბილისში, სამღებროს ქუჩა №21-ის მიმდებარედ 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: (ს/კ: №01.18.03.064.072) და ქალაქ თბილისში, სამღებროს ქუჩა №21-ის მიმდებარედ 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.064.073) პირდაპირი განკარგვის წესით მიხეილ მანაშეროვისთვის (პ/ნ:01015003210) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

26. „ქალაქ თბილისში, ტაშკენტის ქუჩა №31-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ:№01.10.14.004.043) პირდაპირი განკარგვის წესით მოსლემ ბაბახანისთვის (პ/ნ: 01491032850) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

27. ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი VII კვარტალი, კორპუსი N2-ის მიმდებარედ 168 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.04.018.030) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამეცნიერო-საწარმოო კომპანია სოვზისთვის" (ს/ნ: 204446313) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

28. ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი №14-ის მიმდებარედ 18 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.046.014) პირდაპირი განკარგვის ფორმით შპს „გესისთვის" (ს/ნ:405245471) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

29. „ქალაქ თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა №6-ის მიმდებარედ არსებული 21 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.14.031.055) პირადი განკარგვის წესით ლალი ქლესტისთვის (პ/ნ: 01025004391) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე." ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

30. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.027.029) 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ემზარ ბიწაძისთვის (პ/ნ:54001006993) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

31. „ქალაქ თბილისში, პუშკინის ქუჩა №5-7-ის მიმდებარედ 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: (ს/კ: №01.18.03.018.064) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფოტოპლაზა +"ისთვის (ს/ნ:205028762) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

32. „აუქციონში გამარჯვებულ შპს „ქართლიენერჯი-სთვის (ს/კ 404561568) ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენებისთვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

33. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯი" ს (ს/ნ:404561568) შორის 2019 წლის 22 მარტს გაფორმებულ იჯარის შესახებ Nც-455-1-23227 ხელშეკრულების ცვლილების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

34. "ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქ. №1-ში მდებარე 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.19.20.024.959) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „წიკა 93“-ისთვის (ს/ნ: 406077793) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

35. ქ. თბილისში, ონკოლოგიური საავადმყოფოს მიმდებარედ/ლეილა ასათიანის ქ. #19-ის მიმდებარედ არსებული 65599 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: #01.14.16.009.317), ქ. თბილისში, დიღმის მასივში, III კვარტალში მდებარე 9030 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: #01.13.03.045.003), ქ. თბილისში, ხუდადოვის ქ. #15-ში მდებარე ფართების (ს/კ: 01.18.03.072.064.01.500; #01.18.03.072.064.01.504; #01.18.03.072.064.01.505) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების და # 01.10.06.001.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე 28.12.2007წ. გაფორმებული ხელშეკრულებით (#8932/1) გათვალისწინებული, ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის სასარგებლოდ არსებული იპოთეკის და ვალდებულების გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

36. "ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქ. კვარტალი II, კორპუსი N1-ის მიმდებარედ არსებული 2027 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.707) გაცვლის ფორმით პრივატიზების გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

37. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ლამის ქუჩის მონაკვეთისთვის მსახიობ ზელა მირიანაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

38. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ლამის ქუჩის შესახვევისთვის, ლამის II ჩიხისთვის და ასპინძის ქუჩის შესახვევის მონაკვეთისთვის მსახიობ დოდო ჭიჭინაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექ8ტი.

39. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, წერნაქის ქუჩის მონაკვეთისთვის მსახიობ ლეილა აბაშიძის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

40. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მახათას ქუჩის შესახვევისთვის მსახიობ ლიანა ასათიანის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

41. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მახათას ქუჩისთვის მსახიობ მარინე თბილელის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

42. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩის მოხაკვეთისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და ერთი გასასვლელისთვის კინორეჟისორ გიორგი დანელიას სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

43. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, რევაზ თაბუკაშვილის ქუჩის ჩიხისთვის და შესახვევისთვის მსახიობ მედეა ჯაფარიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

44. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის რეჟისორ ვახტანგ ტაბლიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

45. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვასილ ბარნოვის II ჩიხისთვის და ერეკლე ტატიშვილის I ჩიხისთვის მსახიობ გივი ბერიკაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

46. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სერგო ზაქარიაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მსახიობ იაკობ ტრიპოლსკის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

47. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გია რომელაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო სპორტული მოედნისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ლევან შათირიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

48. საკრებულოს წევრის, ნინო რუხაძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა - გაიოზ თალაკვაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ „Rockefeller Philanthropy Advisors, Inc-ფონდის"-სშორის „100 მედეგი ქალაქის ინიციატივის ფარგლებში, გაფორმებული გრანტის ხელშეკრულეზში" ცვლილების შეტანის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ცვლილება შედის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტსა და ა(ა)იპ „Rockefeller Philanthropy Advisors, Inc ფონდს" შორის „100 მედეგი ქალაქის ინიციატივის" ფარგლებში გაფორმებულ გრანტის ხელშეკრულებაში, რომლის მიხედვით, გრანტის მიმღები, ნაცვლად ორი წლისა სამი წლის განმავლობაში მიიღებს 144 000 ლარამდე პირდაპირ დაფინანსებას მერის მრჩევლის პოზიციისთვის ხელფასის გადასახდელად. 2017 წლის ივლისიდან 2019 წლის ივნისის ჩათვლით - 124 800 ლარს, ხოლო 2019 წლის ივლისიდან 2020 წლის ივნისის ჩათვლით - 19 200 ლარს, ამავე პერიოდში ხელფასის დარჩენილი ნაწილის ანაზღაურება სრულად მოხდება „გრანტის მიმღების" მიერ.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ სასურველია, წარმოდგენილი პროექტის სათაური, პროექტის პრეამბულა და განკარგულების პროექტის პირველი მუხლი გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიგა გიგაშვილმა სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაქვემდებარებული ხელოვნური ტბების

ბუნებრივ ტყეებად გარდაქმნის მიზნით გრანტის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

გაიოზ თალაკვაძემ ისაუბრა პროექტის ფინანსურ მხარეზე და განმარტა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) შორის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში მისაღები 159,4 ათასი ლარის ასახვა მოხდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილების განხორციელების შემდეგ.

გიგა გიგაშვილმა პროექტის შინაარსობრივ მხარეზე საუბრისას განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) შორის უნდა გაფორმდეს საგრანტო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, GIZ გამოყოფს გრანტს 159,400 (ას ორმოცდაცხრამეტი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვას დაქვემდებარებული (დაახლოებით 20 ჰექტრამდე), ხელოვნური ტყეების ბუნებრივ ტყეებად გარდაქმნის განხორციელების მიზნით. აღნიშნული საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გამოაცხადებს ტენდერს, რომლის ფარგლებშიც, განხორციელდება ხელოვნური ტყეების განასლების პროცესი. აღნიშნული პროცესი ითვალისწინებს, შემოღობვით სამუშაოებს, ახალი ნარგავების გაშენებასა და სხვა შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, განკარგულების პროექტის პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად ასევე უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-100 მუხლის მე-5 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ დავით ჯაიანმა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და ინტეგრირებული ავტომატიზირებული

მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად" გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების (NC37/466/1413/9665) დანართ B-ში (საკონსულტაციო კონტრაქტი) განსახორციელებელ ცვლილებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებლის განმარტებით, ცვლილება შედის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის (ქალაქის საავტობუსო ქსელის რესტრუქტურიზაციის და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შემუშავების მიზნით) გაფორმებულ საგრანტო ხელშეკრულებაში, კონკრეტულად დანართში (საკონსულტაციო კონტრაქტი). ცვლილების მიხედვით, იზრდება საკონსულტაციო მომსახურებისა და შესასრულებელ დავალებათა ჩაბარების ვადები და განისაზღვრება 2019 წლის 29 ნოემბერამდე. შესაბამისად, ახლებურად ნაწილდება შესასრულებელი დავალებების ანგარიშების ჩაბარების თარიღები და აქტივობათა ეტაპები, აგრეთვე იცვლება საბანკო ანგარიში.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა - გაიოზ თალაკვაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილებების პროექტი წარადგინა. მისი განცხადებით, დედაქალაქის ბიუჯეტი ამ ცვლილებების შესაბამისად, 169,0 ათასი ლარით იზრდება და 1 075 270,8 ათასი ლარით განისაზღვრება, საიდანაც 13 091,9 ათასი ლარი სხვადასხვა მიმართულებებზე გადანაწილდება.

ბატონი გაიოზის თქმით, ცვლილებები გათვალისწინებულია დედაქალაქის მერიისთვის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - „ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიაში" სახსრებიდან, პროექტის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვას დაქვემდებარებული

ხელოვნური ტყეების გარდაქმნა ბუნებრივ ტყეებად“ განხორციელებისათვის გრანტის სახით მისაღები 159,4 ათასი ლარის ასახვის აუცილებლობით.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, ცვლილება შედის ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და ააიპ „Rockefeller Philanthropy advisors, Inc ფონდს“ შორის „100 მედეგი ქალაქის ინიციატივის“ ფარგლებში გაფორმებული გრანტის ხელშეკრულებაში, რაც ითვალისწინებს 2019 წელს დამატებით 9,6 ათასი ლარის მიღებას.

დასასრულს, მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 013 120.5 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 62 150,3 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 910 200,5 ათასი ლარით, ხოლო, 2019 წლისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 124 659,5 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრი - ნინო ლაცაბიძე დაინტერესდა, ისნის რაიონში გზების მოვლა-შეკეთებისთვის გამოყოფილი თანხების შემცირებასთან დაკავშირებით.

გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ ისნის რაიონში გზების მოვლა-შეკეთებისთვის გამოყოფილი თანხები მცირდება 350,0 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა მოხმარდება კეთილმოწყობის ღონისძიებებს.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, დადგენილების პრეამბულაში, სამართლებრივ საფუძვლად უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა - გიგა გიგაშვილმა სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა „ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

გიგა გიგაშვილის თქმით, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა განსაზღვრავს მომავალი ხუთი წლის განმავლობაში განსახორციელებელ იმ ღონისძიებებს, რომლებიც მყარ საფუძველს შექმნის ნარჩენების მდგრადი და ეფექტიანი მართვის სისტემის ჩამოყალიბებისთვის. მისივე თქმით, თანამედროვე სამყაროში ნარჩენები ღირებულ რესურსად აღიქმება, შესაბამისად, აუცილებელია ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც ხელს შეუწყობს ნარჩენების ხელახალი გამოყენების ზრდასა და ნარჩენების დამუშავებას

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, 2015 წლის 15 იანვარს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“, რომლის შესაბამისად, ყველა მუნიციპალიტეტი ვალდებულია მიიღოს საკუთარ ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი სამოქმედო გეგმა, ასევე აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებასა და ტრანსპორტირებაზე. გარდა აღნიშნულისა, საქართველოს მთავრობამ, მიიღო „საქართველოს ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია“ და „2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა“, რომელიც განსაზღვრავს მუნიციპალიტეტების მიერ ნარჩენების მართვის სრულყოფილი სისტემის დასანერგად კონკრეტულ ვადებში გასატარებელ ღონისძიებებს.

ბატონმა გიგამ განმარტა, რომ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიზანია, ხუთწლიანი დაგეგმარების პერიოდში განსაზღვროს ის ღონისძიებები, რომლებიც გააუმჯობესებს ნარჩენების მართვის არსებულ სისტემას და ასევე, უზრუნველყოფს ეროვნულ კანონმდებლობასთან მის შესაბამისობას.

გიგა გიგაშვილის თქმით, წინამდებარე ხუთწლიანი გეგმა მოიცავს თერთმეტ ძირითად მიზანს, რომლიდანაც საკითხის წარმომდგენმა მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების სისტემაზე ეტაპობრივად გადასვლა გამოყო. მისივე თქმით, საპილოტე პროგრამის ფარგლებში დედაქალაქში განთავსებულია ნარჩენების სეპარაციისთვის გასკუთვნილი 50-მდე ურნა. აღნიშნულ პროცესში აქტიურად არის ჩართული შპს „თბილსერვის ჯგუფი“, რომელიც პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის მიმართულებით. როგორც ბატონმა გიგამ განმარტა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტი აქტიურად თანამშრომლობს „საქართველოს ნარჩენების მართვის ასოციაციასთან“, რომელიც უზრუნველყოფს სეპარირებულად შეგროვებული ნარჩენების ტერიტორიიდან გატანასა და გადამუშავებას.

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა ისაუბრა წინამდებარე ხუთწლიანი გეგმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელზე, კერძოდ, სტიქიურ ნაგავსაყრელებზე, რომლებიც მრავლად არის წარმოდგენილი დედაქალაქის ტერიტორიაზე. გიგა გიგაშვილის თქმით, ნარჩენების მართვის გეგმა მოიცავს დედაქალაქში არსებული ყველა სტიქიური ნაგავსაყრელის იდენტიფიცირებას. როგორც საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, ხუთი წლის თავზე ასევე შემუშავდება სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვის გეგმაც

ბატონმა გიგაშვილმა ისაუბრა, ნარჩენების მართვის გეგმით გათვალისწინებულ მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებაზე, რომლის ფარგლებშიც პროდუქტის მწარმოებლები იღებენ პასუხისმგებლობას, თავად იზრუნონ სპეციფიკური ნარჩენის მართვაზე, რომელსაც ისინი წარმოშობენ

წინამდებარე გეგმით გათვალისწინებული, ბიოლოგიური ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან იგეგმება, შპს „ეკო სერვის ჯგუფის“ საქმიანობის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი მწვანე ნარჩენის პროდუქტად გამოყენება

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა ნინო ლაცაბიძემ აღნიშნა, რომ ნარჩენების სეპარირებისთვის განკუთვნილი ახალი ურნები დღეის მდგომარეობით განთავსებულია დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში. ქალბატონი ნინო დაინტერესდა, იგეგმება თუ არა მათი განთავსება გარეუბნებსა და ახლად რეაბილიტირებულ სკვერებში. ნინო ლაცაბიძე ასევე დაინტერესდა, გაცემულია თუ არა გამგეობების მიმართ რეკომენდაცია ტერიტორიების რეაბილიტაციის პროცესში სეპარაციის ურნების განთავსების თაობაზე.

გიგა გიგაშვილის განმარტებით, რეაბილიტირებულ სკვერებში უკვე განთავსებულია სეპარაციის ურნები. მისივე თქმით, ვინაიდან დღეის მდგომარეობით არ არსებობს საკმარისი რესურსი ახალი ურნებიდან ნარჩენის შემდგომ გატანისა და გადამუშავებისა, ყველა რეაბილიტირებულ ქუჩაზე და პარკში გამოიყოფა შესაბამისი ადგილები ახალი ურნების განთავსებისთვის. ბატონმა გიგამ იქვე დასძინა, რომ გამგეობებს მიღებული აქვთ რეკომენდაცია ახალი ურნების განთავსების თაობაზე, რაც ასევე ხელშემწყობი ფაქტორია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კუთხით.
გიორგი ჩაკვეტაძე დაინტერესდა, სეპარირებულად შეგროვებული ნარჩენის ტერიტორიიდან გატანასა და გადამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის თაობაზე.

ბატონმა გიგამ განმარტა, რომ სეპარაციის ურნებიდან ნარჩენის გატანასა და გადამუშავებაზე პასუხისმგებლები არიან კონკრეტული გადამამუშავებელი კომპანიები.

კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი დაინტერესდა, სეპარირებულად შეგროვებული ნარჩენის გატანასა და გადამუშავებაზე პასუხისმგებელი კომპანიების რაოდენობის შესახებ. ბატონი ლევანი ასევე დაინტერესდა იმის თაობაზე, თუ რა სახის ნაწარმი წარმოიქმნება სეპარირებულად შეგროვებული ნარჩენის გადამუშავების შემდგომ.

მომხსენებელმა უპასუხა კომისიის თავმჯდომარეს და განმარტა, რომ „ნარჩენების მართვის ასოციაციაში“ გაერთიანებული არის ნარჩენების გადამამუშავებელი 70 მდე კომპანია, რომლებიც ნარჩენების დამუშავების პროცესში გამოიყენებენ მხოლოდ პლასტმას, ალუმინსა და ქაღალდს.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, სასურველია წარმოდგენილი დადგენილების პროექტში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და პროექტში მოცემული საკითხები პუნქტების ნაცვლად, ჩამოყალიბდეს შესაბამის მუხლებში.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა - გიგა გიგაშვილმა სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის №18.8.66 განკარგულებით შეიქმნა შპს „ეკოსერვის ჯგუფი“, რომლის ძირითად ფუნქცია-მოვალეობებს წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული გამწვანებული ტერიტორიების მოწყობა და მოვლა-პატრონობა. შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ საქმიანობის პროცესში წარმოიქმნება როგორც მერქნული რესურსი, ასევე ბაღის/პარკის ნარჩენები, რომელიც წარმოადგენს ღირებულ რესურს. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ნარჩენების აღდგენის შემთხვევაში შესაძლებელია სასარგებლო პროდუქტის მიღება (მათ შორის მულჩი, კომპოსტი), რომელსაც მუნიციპალიტეტის გამოიყენებს დედაქალაქის ინტერესებისთვის, საჭირო გახდა მითითებული ნარჩენების გასკაროგვის საკანონმდებლო წესით დარეგულირება.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, დადგენილების პროექტის თანახმად, ტერმინს ნარჩენები დაემატა „ბაღის/პარკის“ და განიმარტა შემდეგნაირად:

„ბაღის/პარკის ნარჩენები – მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობის, დამზადების, ჭრის, ვარჯის ფორმირების, გადაბელვის და სხვა ფორმირების შედეგად დარჩენილი ქერქი, ნაფოტი, ნახერხი, შეშად გამოუსადეგარი ტოტები, გაკრეჭილი/გათიბული ბალახი, ჩამოცვენილი ფოთლები“.

ასევე, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიხედვით, დადგენილების 22-ე მუხლში

მიეთითება „ბაღის/პარკის წარჩენები“ და ემატება შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით, მის სარგებლობაში არსებული მერქნული რესურსი და ბაღის/პარკის ნარჩენები, შემდგომი განკარგვის უფლებით, შესაძლებელია გადაეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირს.“

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრი ნინო ლაცაბიძე დაინტერესდა, შემოთავაზებულ ცვლილებამდე როგორ განიკარგებოდა აღნიშნული ნარჩენი.

გიგა გიგაშვილმა განმარტა, რომ გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენი ექვემდებარებოდა შეგროვებას

კომისიის თავმჯდომარის თქმით, დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი. ასევე, დადგენილების პროექტში მითითებული უნდა იყოს ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის თარიღი.

ბატონი ლევანის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის პრეამბულაში უნდა მიეთითოს, რომ ცვლილება შედის დადგენილებით დამტკიცებულ წესში და არა დადგენილებაში. ასევე, სასურველია საკრებულოს №17-55 დადგენილებით დამტკიცებულ წესში, ნაცვლად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისა, მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7-8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა - გიგა გიგაშვილმა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ირინა ჭეიშვილმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს ერთობლივად წარუდგინეს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10 15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების პროექტები.

საკითხის წარმომდგენებმა ისაუბრეს დადგენილებების პროექტებით გათვალისწინებულ ძირითად ცვლილებებზე ქ თბილისის მერიის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ცვლილებები შეეხება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულებასა და ქ.თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის დებულებებში, რომლის მიხედვით, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის უფლებამოსილებებს შორის აღარ იქნება დედაქალაქში არსებული შადრევან-აუზების მოვლა-პატრონობის, რეაბილიტაციის პროცესების ორგანიზება და კონტროლი. აღნიშნულ ფუნქციას განახორციელებს მხოლოდ მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, კერძოდ, აღნიშნული სამსახურის „მწვანე ლანდშაფტის დაგეგმარების განყოფილება“.

გიგა გიგაშვილის თქმით, შემოთავაზებული ცვლილებების შესაბამისად, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის განყოფილებებში ხორციელდება ფუნქციათა გადანაწილების პროცედურა. კერძოდ, მწვანე ლანდშაფტის დაგეგმარების განყოფილების ფუნქციებიდან ხდება რიგი საკითხების ამოღება და მათი გარემოსდაცვითი მართვის განყოფილებისთვის დამატება.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, ორივე დადგენილების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61 ე მუხლის მე 2 პუნქტი.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-7 საკითხთან დაკავშირებით, კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროექტის პირველი მუხლის პრეამბულას უნდა დაემატოს შემდეგი სიტყვები: „დადგენილებით დამტკიცებული დებულების:“ შესაბამისად, ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით. ლევან ჟორჟოლიანის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ხ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ხ. “დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების პროცესში კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობის მიღება“.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-8 საკითხთან დაკავშირებით, თავმჯდომარემ განმარტა, რომ მიზანშეწონილია, პროექტის პირველი მუხლი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილებათა პროექტებთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ დადგენილებების პროექტებს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №42-40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ისაუბრა პროექტით გათვალისწინებულ ძირითად ცვლილებებზე და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილების შესაბამისად, უფასო პარკირებით სარგებლობის უფლება, გარდა იმ პირებისა რომლებსაც საკუთრებაში აქვთ ერთ ან ერთზე მეტ უძრავი ქონება, ასევე ეძლევათ მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებს, თითოეული მიწის ნაკვეთის საკუთრებისას - მათ მიერვე წინასწარ განსაზღვრულ ორ სატრანსპორტო საშუალებაზე. თანასაკუთრების შემთხვევაში ამ უფლებით სარგებლობის საშუალება ექნება თითოეულ მესაკუთრეს, მათ მიერვე წინასწარ განსაზღვრულ ორ სატრანსპორტო საშუალებაზე.

რაც შეეხება, შენობა ნაგებობების მესაკუთრეებს, საკითხის წარმომდგენის განმარტებით, მათ უფასო პარკირებით სარგებლობის უფლება ეძლევათ თითოეული შენობა-ნაგებობის საკუთრებისას - მათ მიერვე წინასწარ განსაზღვრულ ორ სატრანსპორტო საშუალებაზე ხოლო იმ შემთხვევაში თუ ფიზიკური პირის საკუთრებაში იქნება როგორც მიწის ნაკვეთი, ისე შენობა-ნაგებობა, უფასო პარკირებით სარგებლობის უფლება ეძლევათ მათ მიერვე წინასწარ განსაზღვრულ თითოეულზე ორ-ორ სატრანსპორტო საშუალებაზე.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, თუ ფიზიკური პირი აღარ იქნება ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრე, რომლის საფუძველზეც გაიცა უფასო პარკირებით სარგებლობის უფლება, ეს უფლება მას უუქმდება შესაბამისი ინფორმაციის მიღებისთანავე.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა ჩაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

სხდომა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დასარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შესწორების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ვასილ აბულაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბატონი აბულაძის თქმით, ცვლილებების თანახმად, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გზების სატრანსპორტო საშუალებებისგან განტვირთვის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის თანხმობით, სარგებლობის უფლებით გაიცემა სამეწარმეო საქმიანობის მიზნით გამოსაყენებელი ელექტრო ველოსიპედების, მოპედების და ელექტროძრავიანი სხვა მსგავსი სატრანსპორტო საშუალებების პარკირებისთვის განსაზღვრული ლოკაციები.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრი ნინო ლაცაბიძე დაინტერესდა, ელექტროძრავიანი ტრანსპორტის პარკირებისთვის გამოყოფილი ლოკაციების თაობაზე.

მომხსენებლის თქმით, პარკირებისთვის განსაზღვრული ლოკაციები გამოიყოფა ტროტუარების მიმდებარე ტერიტორიაზე, ქვეითისა და სხვა სატრანპორტო საშუალებების მიმართ უსაფრთხოების ზომების დაცვის გათვალისწინებით.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში, მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

თავმჯდომარის განმარტებით, რამდენადაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №42-40 დადგენილებით განხორციელებული ცვლილებების თანახმად, საკრებულოს №33-99 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის "მე 8 მუხლს დაემატა მე-5–მე-7 პუნქტები, რომლებიც ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2019 წლის პირველი აგვისტო, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ბ" პუნქტით განსაზღვრული მე-8 მუხლისათვის მე-5 პუნქტის დამატების ნაცვლად, მოხდეს აღნიშნული შინაარსის პუნქტის დამატება მე 8 მუხლისთვის განსხვავებული ნუმერაციით, $3^{1}$ პუნქტის სახით

ბატონი ლევანის თქმით, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაბამისი ცვლილება უნდა განხორციელდეს ასევე, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ა" პუნქტში, რომლის თანახმადაც ახალი რედაქციით ყალიბდება საკრებულოს №33-99 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის" მე-7 მუხლის მე-13 პუნქტი და აღნიშნულ პუნქტში, მითითება უნდა განხორციელდეს წესის მე-8 მუხლის მე 5 პუნქტის ნაცვლად, შესაბამისად შეცვლილ $3^{1}$ პუნქტზე.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტმა - მარიამ ჩივაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ქალბატონმა მარიამმა ისაუბრა წარმოდგენილი დადგენილების პროექტით გათვალისწინებულ ძირითად ცვლილებებზე, რომლის შესაბამისად, აუტიზმის

ქვეპროგრამაში ჩართული ბენეფიციართა ასაკი 2-იდან 17 წლის ჩათვლით იზრდება, რაც გამოიწვევს ქვეპროგრამით მოსარგებლეთა წრის უფრო გაფართოებას.

ქალბატონმა მარიამმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, სეანსების რაოდენობა გადანაწილდა 17 წლის ასაკის ჩათვლით, ხოლო ქვეპროგრამის მომსახურების მიმწოდებლისათვის დადგენილ დამატებით პირობებს დაემატა მოთხოვნა, შესვედრის/სეანსის მიწოდების პროცესში უზრუნველყონ მშობლის/მეურვის ჩართულობის შესაძლებლობა.

მარიამ ჩივაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებების შესაბამისად, აღნიშნული პროგრამით სარგებლობა შეეძლებათ, 2 დან 17 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეებს რომლებიც, ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, შესაბამისი დაწესებულებისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 3 წლის (2 წლის ასაკის ბავშვის შემთხვევაში – ბოლო 2 წლის) განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის არიან რეგისტრირებულნი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში. მათ შორის პირებს, რომლებსაც ამ 3 (2 წლის ასაკის ბავშვის შემთხვევაში – 2 წლის) წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში.

საკითხის წარმოდგენის შემდგომ, მარიამ ჩივაძემ ითხოვა დადგენილების წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ცვლილებები, კერძოდ, საკრებულოს № 35-118 დადგენილების პირველი მუხლის:

„ა" პუნქტით დამტკიცებული „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესის" მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის ჩამოყალიბება შემდეგი რედაქციით:

„გ) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების განმახორციელებელია 2018 წელს მიმწოდებლად რეგისტრირებული დაწესებულებები, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ წესის ამოქმედებამდე მოქმედ რეგულაციებს;";

„გ" პუნქტით დამტკიცებული „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ჩამოყალიბება შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან, დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობების ჯგუფის (F84.0; F84.9) დიაგნოზის მქონე 2-დან 17 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც:

ა) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენენ ქვეპროგრამის ბენეფიციარებს, მიუხედავად წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დიაგნოზისა;

ბ) ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, შესაბამისი დაწესებულებისათვის განცხადებით მიმართვამდე პერიოდში იყვნენ რეგისტრირებული საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტში, მაგრამ განცხადებით მიმართვამდე ბოლო 3 წლის (2 წლის ასაკის ბავშვის შემთხვევაში – ბოლო 2 წლის) განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში არიან რეგისტრირებულნი;

გ)ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, შესაბამისი დაწესებულებისათვის განცხადებით მიმართვის დროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, თუ ისინი განცხადებით მიმართვამდე პერიოდში არცერთხელ არ ყოფილან რეგისტრირებული საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტში;

დ) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი თბილისი და აკმაყოფილებენ ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.“.

ასევე, საკითხის წარმომდგენა ითხოვა მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის ჩამოყალიბება შემდეგი რედაქციით:

„ბ.დ) ამასთან, ამ წესის მე-2 მუხლის მე 3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ასაკობრივ ჯგუფში მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განსაზღვრული წლიური გეგმის ფარგლებში, თვეში ერთხელ შესაძლებელია თითო შეხვედრის/სეანსის ჩატარება მშობელთან/მეურვესთან.“;

კომისია დაეთანხმა აღნიშნული ცვლილებების ასახვა - განხორციელებას.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, მიზანშეწონილია, პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი. ასევე, დადგენილების პროექტის პირველ მუხლში, „გ“ ქვეპუნქტის ნაცვლად, უნდა მოხდეს „გ“ პუნქტის მითითება.

პროექტის პირველი მუხლის „ა.ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ ნაწილში „ა.ბ) მე 3 პუნქტი „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:“ გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ა.ბ) მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:“. გარდა ამისა, მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტსა და მე-9 მუხლის პირველ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში ნაცვლად მეურვისა უნდა მიეთითოს კანონიერი წარმომადგენელი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების/წინადადებების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს

12. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - წიწო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის N13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ისაუბრა წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულ ძირითად ცვლილებებზე და განმარტა, რომ ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს დებულებაში, რომლის შესაბამისად, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ნაცვლად, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებისა და განსაკუთრებულ შემთხვევებში, თბილისის მთავრობის დავალების საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საზღვრების მომზადების, დადგენის და კორექტირების ფუნქცია ენიჭება სსიპ- ქონების მართვის სააგენტოს.

საკითხის წარმომდგენმა წარმოდგენილ პროექტზე საუბრისას ხაზი გაუსვა სააგენტოში განსახორციელებელ სტრუქტურულ ცვლილებებს, რომლის შესაბამისად, განისაზღვრა, რომ სააგენტოს უფროსს ჰყავს ერთი მოადგილე, რომელიც სააგენტოს უფროსის არყოფნის ან მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში შეასრულებს სააგენტოს უფროსის მოვალეობას. ასევე, სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების სამსახურების შემადგენლობაში შემავალ ერთეულებს განყოფილების ნაცვლად ეწოდა - სამმართველო.

ქალბატონი კვეტენაძის განმარტებით, იცვლება სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების შემადგენლობა და იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის ნაცვლად, იურიდიული სამსახური და საინვესტიციო პროექტების განვითარებისა და მართვის სამმართველო დამოუკიდებელ სტრუქტურულ ქვედანაყოფებად განისაზღვრება. შესაბამისად, ახლებურად ყალიბდება მათი უფლებამოსილებები. ასევე, იურიდიული სამსახურის შემადგენლობაში იქმნება სასამართლოსთან წარმომადგენლობის

უზრუნველყოფის სამმართველო და შესაბამისად, მოქმედ დებულებაში არსებული უფლებამოსილებები ნაწილდება სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოსა და სასამართლოსთან წარმომადგენლობის უზრუნველყოფის სამმართველოს შორის.

საკითხის წარმომდგენის თქმით, ცვლილებების შესაბამისად, სააგენტოს ფუნქციებში აისახა კომპეტენციის ფარგლებში საინვესტიციო პროექტების მომზადება და ინვესტიციების მოზიდვა. ასევე, სანებართვო სამმართველოს უფლებამოსილებებს დაემატა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, ასევე საზოგადოებრივ სივრცესა და ტერიტორიაზე კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი ტიპის სამშენებლო/სამონტაჟო/კეთილმოწყობითი/გამწვანების და სხვა სამუშაოების (მოქმედებების) ჩატარებაზე/განხორციელებაზე თანხმობის გაცემის საკითხის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მომზადება ქონების მართვის სამსახურის პოზიციის გათვალისწინებით

მომხსენებლის თქმით, ცვლილების პროექტის შესაბამისად, სააგენტოს ერთ-ერთ ფუნქციად განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების/რეალიზაციის ან სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, აუქციონის ორგანიზება, ჩატარება და შედეგების გაფორმება

ასევე, ცვლილებების მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, ასევე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ან/და 50%-მეტი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების აუქციონის გზით განკარგვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაც უშუალოდ სააგენტოს უფლებამოსილებად განისაზღვრა.

საკითხის წარმომდგენმა ითხოვა, დადგენილების პროექტიდან მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის ამოღება, რომლის მიხედვით სანებართვო სამმართველოს უფლებამოსილებებს ემატებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, საზოგადოებრივ სივრცესა და ტერიტორიაზე კიბის, ასევე, პანდუსის მოწყობაზე თანხმობის გაცემა.

კომისია დაეთანხმა მომხსენებლის აღნიშნულ წინადადებას.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, დადგენილების პროექტის პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად ასევე უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროექტით წარმოდგენილი მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- „გ) სამსახურის უფროსი - ანაწილებს მოვალეობებს სამმართველოებს შორის და აძლევს მათ შესაბამის მითითებებს, <u>გარდა საინვესტიციო პროექტების განვითარებისა და მართვის სამმართველოსი.“</u>

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ქრისტიან ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების/წინადადებების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების შესაბამისად, ცვლილება შედის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №19-74 დადგენილებით დამტკიცებული წესში, რომლის მიხედვით, ქონების მართვის სააგენტო მთავრობის გადაწყვეტილების გარეშე შეძლებს აუქციონის ჩატარებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის (მათ შორის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის და 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირებისათვის).

ქალბატონი ნინოს თქმით, წარმოდგენილი ცვლილების მიხედვით, ასევე ხდება ტექნიკური უზუსტობის გასწორება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №19-74 დადგენილებით დამტკიცებული წესში, კერძოდ, მე-7 მუხლში, საკრებულოს №19-73 ნაცვლად მიეთითება სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მოქმედი დებულება.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა ჩაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვიტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის), ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების შესაბამისად, ცვლილება შედის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №20-106 დადგენილებაშიც, კერძოდ დადგენილებით დამტკიცებული წესში, რომლის მიხედვით, სააგენტო მთავრობის გადაწყვეტილების გარეშე შეძლებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ქონების აუქციონის გზით პრივატიზების/რეალიზაციის ან სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, აუქციონის ორგანიზებას, ჩატარებასა და შედეგების გაფორმებას.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა ჩაემატოს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და

მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20 100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების შესაბამისად, ცვლილება ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №20-100 დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებულ წესში, რომლის მიხედვით, სააგენტოს მთავრობის გადაწყვეტილების გარეშე შეეძლებს, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული პირების ქონების აუქციონის გზით პრივატიზების/რეალიზაციის ან სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, აუქციონის ორგანიზებას, ჩატარებასა და შედეგების გაფორმებას.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა ჩაემატოს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ

წარმოდგენილი „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესი დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-75 დადგენილებაში ცელილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ქალბატონი ნინოს თქმით, ცვლილება შედის „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №19-75 დადგენილებით დამტკიცებულ წესში და თანხმობის გაცემას დაქვემდებარებული საზობრივი ნაგებობების/სამუშაოების ჩამონათვალს ემატება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, ასევე საზოგადოებრივ სივრცესა და ტერიტორიაზე კიბის მოწყობა და პანდუსის მოწყობა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თანხმობის გაცემის დროს საკითხი შეთანხმებული უნდა იყოს ასევე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ. მისივე თქმით, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით სწორი ფორმულირებით ყალიბდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სახელი.

ასევე, მომხსენებლის განმარტებით, იქიდან გამომდინარე, რომ ქალაქგეგმარებითი დასკვნების მომზადება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის კომპეტენციას წარმოადგენს, წესის შესაბამისი მუხლები კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოდის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა ჩაემატოს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დადგენილების პროექტის სათაური და პირველ მუხლი გამართულ უნდა იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და საკრებულოს №19-75 დადგენილება მიეთითოს სწორი ფორმით. ასევე, უნდა გასწორდეს ნუმერაციასთან დაკავშირებული უზუსტობა პირველი მუხლის პუნქტებში და მე-8 პუნქტის შემდგომ, მოსდევს მე 9 პუნქტის მითითება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და

მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "სს „თიბისი ბანკისთვის" (ს/კ 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 26 სექტემბრის N18.797.1151 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 19 ივნისის N19.679.888 განკარგულებით წარმოდგენილი საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტით ხდება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის N18.797.1151 განკარგულებაში ცვლილების შეტანა, რომლის თანახმადაც, სს „თიბისი ბანკსა" და ქ.თბილისის მთავრობას შორის გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებით განსაზღვრული იჯარის მოქმედების ვადა (2019 წლის 20 ივნისი) გრძელდება 2020 წლის 20 ივნისამდე.

ნინო კვეტენაძის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება „თიბისი ბანკს" გადაცემული აქვს, მერიის ადმინისტრაციის შენობასა და ზოგიერთ გამგეობაში, ბანკომატებისა და ბანკის სერვისცენტრის განთავსების მიზნით. საიჯარო ქირის წლიური საფასურის - 19 452 (ცხრამეტი ათას ოთხას ორმოცდათორმეტი) ლარის სანაცვლოდ.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს მთავრობის N19.679.888 განკარგულება. ასევე, საკრებულოს N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური და პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და

მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. ინდივიდუალური და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი “ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებული 1082 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: #72.16.21.898) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მოქალაქე გურამ აბულაძისთვის (პ/ნ: 01001071022), ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებული 1082 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სიმბოლური ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით.

ნინო კვეტენაძის თქმით, გურამ აბულაძე და მისი ძმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არიან და გადაადგილდებიან მხოლოდ ელექტრო ეტლებით. ისინი ცხოვრობენ საცხოვრებელი კორპუსის მე-4 სართულზე და ვერ ახერხებენ ეტლებით დამოუკიდებლად გადაადგილებას, რის გამოც განსაკუთრებული რისკის ქვეშ იმყოფებიან.

ნინო კვეტენაძემ დაამატა, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა ასევე მოთხოვნილია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ.

საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პოზიციის მიხედვით, მითითებული მიწის ნაკვეთის განკარგვა შესაძლებელია მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისად და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსება დამატებით საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას.

ქალბატონმა კვეტენაძემ იქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით, აღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი საბაზრო ღირებულება, 2019 წლის 28 მარტის მდგომარეობით საორიენტაციოდ განსაზღვრულია 116 856 ლარის ოდენობით

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მოქალაქე გურამ აბულაძე და მისი ძმა არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და გადაადგილდებიან ელექტრო ეტლებით. მათი ჯანმრთელობისთვის აუცილებელია ადაპტირებულ გარემო, რაც ითვალისწინებს სახლიდან გასვლასა და სუფთა ჰაერზე ყოფნას. შესაბამისად მუნიციპალიტეტმა გამოხატა კეთილი ნება და მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნულ პირებს გადასცეს ლისის ტბის

მიმდებარე ტერიტორია, რომელზეც ისინი საკუთარი ბინის გაყიდვის შემდგომ ააშენებენ საცხოვრებელი სახლს, რომელიც ადაპტირებული იქნება მათი საჭიროებებისთვის.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიუთითის: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 118[1] მუხლის მე-3 პუნქტი. ასევე, საკრებულოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი. გარდა ამისა, პროექტის პირველ პუნქტში უნდა მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური „სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად“.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩა N13-ის შესახვევის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.10.06.001.261) არსებული 16885 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მთავრობის N19.487.636 განკარგულების დანართი N1-ით და დანართი N2-ით წარმოდგენილ ნუსხაში მითითებული პირთათვის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16885 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან განსაზღვრული მონაკვეთების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას, ამავე განკარგულების დანართი N3 და დანართი N4-ით გათვალისწინებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად.

ქალბატონი ნინოს თქმით, მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულების დანართ N1 ში მითითებულ 64 (სამოცდაოთხი) პირს 16885 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან გადაეცემათ შესაბამისი მონაკვეთები (ჯამურად 13 197 კვ.მ.) აღნიშნული განკარგულების დანართი N3 ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად. მისივე თქმით, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული 64 (სამოცდაოთხი) პირი თავიანთ ოჯახებთან ერთად, 2000-2007 წლებში, თვითნებურად შეიჭრნენ ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლება IIმ/რ, N204, N205, N225 კორპუსებში და N226 კორპუსში (რომელიც დღეის მდგომარეობით

დარეგისტრირებულია ქ. თბილისში, დავით იოსელიანის I შესახვევი, N4-ში) განთავსებულ საცხოვრებელ ფართებში.

ქალბატონი ნინოს თქმით, საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილია მთავრობის N19.18.560 განკარგულება, რომელიც ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საცხოვრებელ ფართებში უკანონოდ შეჭრილი პირების, რაიონის გამგეობების მიერ საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხებს, მათ შორის, მთავრობის N19.487.636 განკარგულების დანართი N1-ით წარმოდგენილ პირთა გასასახლებული საწილის არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ფარგლებში დაფინანსების საკითხს, მათ მიერ, უკანონოდ დაკავებული ფართების გათავისუფლების შემთხვევაში. ასევე, ნაძალადევის რაიონის Nბ35.01181941 ბრძანება ითვალისწინებს, დროებითი საცხოვრებელი ფართის კომპენსაციის გაცემის ვადის გაგრძელებას კონკრეტული დროით შესაბამის დანართში მითითებული პირებისათვის, რომელთა შორისაა, ქ. თბილისის მთავრობის 2019 წლის პირველი მაისის N19.487.636 განკარგულების დანართი N1-ით წარმოდგენილ პირთა დანარჩენი ნაწილი.

ნინო კვეტენაძემ იქვე დასძინა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია ნაძალადევის რაიონის გამგეობის შუამდგომლობა, ზემოაღნიშნული პირების განსაზღვრული ფართებით დაკმაყოფილების თაობაზე, მათ შორის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებაში თვითნებურად შეჭრილი ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენლის - მოქალაქე ნინო ნადირაშვილის განსაზღვრული ფართით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

როგორც ქალბატონმა ნინომ განაცხადა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მოთხოვნით, სააგენტოსა და კომისიაში ასევე წარდგენილია, დაინტერესებულ პირთა განცხადებები მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემის სანაცვლოდ ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში არსებულ შესაბამის საცხოვრებელ ფართებზე ყველა სახის მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ. ასევე წარმოდგენილია სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებები თავიანთი ოჯახის წევრის სასარგებლოდ, გადასაცემ უძრავ ქონებაზე მოთხოვნის უფლების დათმობაზე. ნინო კვეტენაძის თქმით, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირებს შორის ნაწილი ცხოვრობს მარტო, შესაბამისად, წარმოდგენილია მხოლოდ მათი განცხადებები ყველა სახის მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ. აღნიშნულ პირებს შორისაა, ვახტანგ ცინცაძე (პ/ნ: 33001009601) და ინგა კვანჭილაშვილი (პ/ნ: N18001018671);

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ საკითხთან დაკავშირებით ქ. თბილისის მერიასა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში წარდგენილია დევნილის სტატუსის მქონე მოქალაქე ნადო ძიძაძის (პ/ნ: N62004008046), სანოტარო წესით დამოწმებული განცხადება, (რაც ასევე მიეწოდა კომისიას), სადაც, აღნიშნული მოქალაქე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გადაცემის სანაცვლოდ, თმობს ყველა სახის მოთხოვნის უფლებას.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ ასევე კომისიის მოთხოვნით საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ დამატებით წარმოდგენილია ისიდორე ნეფარიძის, მზია მაისურაძის, ეთერი მაისურაძის, სოფიკო ცარციძის, ზეინაბ ონეზაშვილის, გიორგი ურთმელიძის ოჯახის წევრების სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებები, აღნიშნული პირების სახელზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემის სანაცვლოდ, ქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში არსებულ შესაბამის საცხოვრებელ ფართებზე ყველანაირი მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ.

ასევე, ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ დამატებით მოწოდებულ იქნა მირიან მაისურაძისა და ეკა სიდიანის მიერ, მერი შენგელაიას სახელზე გაცემული მინდობილობები, აგრეთვე, ვიქტორია სურგულაძის მიერ, დედის - ნინო შურღაიას სახელზე გაცემული მინდობილობა, მინდობილი პირების სასარგებლოდ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე მოთხოვნის უფლების დათმობისა და ქ. თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში არსებულ შესაბამის უძრავ ქონებაზე უარის თქმის შესახებ.

მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს მთავრობის N419 განკარგულებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტს ეთხოვა, უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემის უზრუნველყოფა.

როგორც ქალბატონმა კვეტენაძემ აღნიშნა, წარმოდგენილი პროექტით ასევე ხდება, ქ. თბილისში, პეტრე იბერის ქუჩაზე, 16885 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან განსაზღვრული მონაკვეთების (ჯამურად- 3688 კვ.მ), ქ. თბილისის მთავრობის N19.487.636 განკარგულების დანართი N2-ით განსზღვრული კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირების/მათი მემკვიდრეებისთვის, სიმბოლურ ფასად -1 ლარად გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო ან საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

დასასრულს, იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ საკითხთან დაკავშირებით სააგენტოში წარდგენილია ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი ბაზიდან, მოქმედი სარეიტინგო ქულის მითითებით, ასევე, შესაბამისი გადაწყვეტილებები/ცნობები და ბინის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადახდის დამადასტურებელი ქვითრები.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი სათანადოდ გამართული იქნას ტექნიკური თვალსაზრისით

ასევე, ქ. თბილისის მთავრობის N19.487.636 განკარგულების დანართ N1-ში, ასევე, ხელშეკრულების პროექტის მე-2 მუხლში და მე-9 მუხლის შემდეგ, ქონების შემძენთა ჩამონათვალში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომები „ემმა ხუდოიანი"-ს გვარის მითითების და „ნანა სიმონიშვილი" ს სახელის მითითების ნაწილში.

თავმჯდომარის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, ქ. თბილისის მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულების დანართ N3-ში, რაც წარმოადგენს, ამავე განკარგულების დანართ N1-ში მითითებულ 64 (სამოცდაოთხი) პირთან გასაფორმებელი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, გასწორებულ იქნას შემდეგი შეცდომები:

ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.2. პუნქტში, პრივატიზების საგნად მიეთითოს არა - ქ. თბილისში, პეტრე იბერის შესახვევი N13-ის მიმდებარედ 16885 კვ.მ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: # 01.10.06.001.261)", არამედ, შემდეგი - ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქუჩა, შესახვევი N13-ის მიმდებარედ) არსებული 16885 კვ.მ.-დან (საკადასტრო კოდი: N01.10.06.001.261) 13197კვ.მ. მიწის ნაკვეთს.

ხელშეკრულების მე-4 მუხლში, საპრივატიზებო პირობის ნაწილში, მიეთითოს საკადასტრო ერთეულის N01.12.15.001.001 ამჟამინდელი მისამართი სწორი რედაქციით: „ქ. თბილისი, დაფით იოსელიანის I შესახვევი, N4". იგივე მიზეზით, მართებულია ჩასწორდეს, მე-6 მუხლის 6.3. პუნქტიც.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, ქ. თბილისის მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულების დანართ N4-ში, რაც წარმოადგენს, ამავე განკარგულების დანართ N2-ში მითითებული 16 (თექვსმეტი) პირთან გასაფომებელ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულებას, გასწორებულ იქნას შემდეგი შეცდომები:

მიზანშეწონილია, ხელშეკრულების პროექტის პრეამბულაში ნაცვლად „სამართალმემკვიდრისა" ყველგან მიეთითოს სიტყვა: „მემკვიდრე";

ასევე, გასწორებულ იქნას პრეამბულაში მარინე ხოკერაშვილის ნაწილში დაშვებული შეცდომა და მიეთითოს არა - „ბაბულია არაჩაშვილის სამართალმემკვიდრე, მარინე ხოკერაშვილი (პ/ნ 01011021972)", არამედ, „მარინე ხოკერაშვილი (პ/ნ 01011021972)", ვინაიდან, მარინე ხოკერაშვილი თავად წარმოადგენს ყოფილი სახიხაო სამშენებლო კოოპერატივის წევრს და დაზარალებულს;

პირველ მუხლში, ხელშეკრულების საგნის ნაწილში, გადასაცემი უძრავი ქონების ოდენობად მიეთითოს არა „16 885 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.10.06.001.261) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის № --- განკარგულების დანართი №2-ით განსაზღვრული პროპორციით", არამედ, შემდეგი სახით: „16 885 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 01.10.06.001.261) 3688 კვ.მ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის № --- განკარგულების დანართი №2-ით განსაზღვრული პროპორციით";

ხელშეკრულების პროექტის მე-5 მუხლში კოოპერატივის ნომერი N651 ორჯერ არის განმეორებული. შესაბამისად, უნდა გასწორდეს აღნიშნული ხარვეზი.

აღსანიშნავია, რომ საკითხის წარმომდგენმა გაიზიარა მითითებული შენიშვნები.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დარჩენილმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N26-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი N01.19.19.004.078) არსებული 15803 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ.თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N26-ის მიმდებარედ არსებული 15803 კვ.მ მიწის ნაკვეთის, მთავრობის №19.448.593 განკარგულებით განსაზღვრულ პირთათვის (36 პირი), სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად თანასაკუთრებაში გადაცემას.

ნინო კვეტენაძის თქმით, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული პირები, 2000-2007 წლებში, თვითნებურად შეიჭრნენ ქ. თბილისში, ზღვისუბნის ტერიტორიაზე მდებარე კორპუსებში. როგორც საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, სსიპ- ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია ნაძალადევის რაიონის გამგეობის შუამდგომლობა, დაინტერესებული ოჯახების შესაბამისი მიწის ფართობის სააგენტოს მიერ განსაზღვრული ტერიტორიით დაკმაყოფილების თაობაზე. ქალბატონი ნინოს თქმით, ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ გამგეობა ახორციელებს თბილისში, ზღვის უბნის მე-2 მიკრორაიონის 225-ე, 226-ე, 204-ე, 205-ე კორპუსებში უკანონოდ დაკავებული ფართებიდან გამოსახლებული პირების (ოჯახების) ბინის ქირით უზრუნველყოფას.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, აღნიშნული კორპუსების მოსახლეობის აღწერისას დაშვებულ იქნა გარკვეული ხასიათის შეცდომები, იქ მცხოვრები ზოგიერთი მოქალაქე (ოჯახი) ვერ მოხვდა ზემოხსენებული განკარგულების დანართით განსაზღვრულ სიაში. კერძოდ,

1) ზაალ და ზაზა ჭანტურია ძმები არიან. აღნიშნულ კორპუსებში ზაალ ჭანტურია ცხოვრობდა ცალკე ფართში (კორპ. N205, ბინა N50), თავის ოჯახთან (მეუღლე და შვილი) ერთად, ხოლო დანართში შეცდომით მითითებული ზაზა ჭანტურია ცხოვრობდა მშობლებთან - ნონა (დედა

- სიაში N41) და გურჯი (მამა) ჭანტურიებთან ერთად (კორპ. N205, ბინა N26), აქედან გამომდინარე, ზაზა ჭანტურიას ნაცვლად სიაში (N 18) უნდა ეწეროს <u>ზაალ ჭანტურია;</u>

2) თამარ ჭანტურია - მარინა შეროზიას შვილია, რომელიც შეცდომითაა მითითებული დანართში (N 27). აღნიშნულ მისამართზე: კორპ. N 205, ბინა N7 ცხოვრობდა თამარ ჭანტურია ოჯახთან ერთად;

3) ფატიმა ქისიშვილი აღწერის დროს ვერ მოხვდა სიაში, რადგან ნებაყოფლობით დატოვა უკანონოდ დაკავებული ფართი 2015 წლის 13 მაისის N19.18.560 განკარგულების გამოცემამდე. განკარგულებაში ჩამოთვლილ მოქალაქეებს (ოჯახებს) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნაძალადევის რაიონის გამგეობა 2015 წლიდან დღემდე უზრუნველყოფს დროებითი საცხოვრებელი ფართის (ბინის ქირა)ასანაზღაურებელი კომპენსაციით.

4) რაც შეეხება მადონა მუშკუდიანს. იგი არის დანართში (N20) აღნიშნული მადონა კვირიკაშვილი, რაც დასტურდება მისი პირადი ნომრით - 60001109074. (ხსენებულმა პირმა შეიცვალა გვარი).

ქალბატონმა კვეტენაძემ აღნიშნა, რომ სააგენტოში წარდგენილია დაინტერესებული პირების/მათ მინდობილი პირების განცხადებები, რომლითაც აცხადებენ, რომ 15803 კვ.მ მიწის ნაკვეთის თანასაკუთრების უფლებით მათთვის გადაცემის სანაცვლოდ, უარს აცხადებენ ზღვისუბნის დასახლებაში არსებულ შესაბამის საცხოვრებელ ფართებზე ყველა სახის მოთხოვნაზე. მათ შორის წარმოდგენილია, დევნილის სტატუსის მქონე მოქალაქეების, ვლადიმერ ჯომიდავას (პ/ნ: N62001008019) და ირმა კვიკვინია, (პ/ნ: N62003013812) განცხადებები, რომლებიც აღნიშნული ქონების გადაცემის სანაცვლოდ, თმობენ ყველა სახის მოთხოვნის უფლებას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ, სხვა ალტერნატიული უძრავი ქონებით მის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა განმარტა, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მოთხოვნის საფუძველზე, გარკვეული უზუსტობის აღმოფხვრის მიზნით, ნაძალადევის რაიონის გამგეობამ დამატებით წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლითაც დგინდება ქონების გადაცემით დაინტერესებული ოჯახების სულადობის საკითხი, ასევე, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირთა ოჯახის წევრების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებები, თავიანთი ოჯახის წევრის სასარგებლოდ, გადასაცემ უძრავ ქონებაზე მოთხოვნის უფლების დათმობაზე.

აგრეთვე, ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ დამატებით წარმოდგენილ იქნა: ირაკლი კუჭუხიძის, კახა მოწონელიძის, თამარი ჭანტურიას, ჯემალ ციცხვაიას, ელზა ზერიას, გარიკ დავითიანის, ვანო ჯოხარიძის, ქეთევან ჩერქეზიშვილის, მაია ლოჩიშვილის, ვლადიმერ ჯომიდავას, დარეჯანი ციცქიშვილის, ტურფა ფოფხაძისა და მაია ქველაძესთან დაკავშირებული დამატებითი დოკუმენტები.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში „სიმბოლურ ფასად - 1 (ლარად)" ნაცვლად უნდა მიეთითოს: „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად. ასევე, ვინაიდან, მუნიციპალიტეტის მთავრობის №19.448.593 განკარგულების დანართი N1 ითვალისწინებს მხოლოდ შესაბამისი პირების ჩამონათვალს და არა უძრავი ქონების, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N26-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი N01.19.19.004.078) არსებული 15803 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 18 აპრილის №19.448.593 განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ ნუსხაში მითითებულ პირთათვის, ამავე განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N26-ის მიმდებარედ (ს/კ: N01.19.19.004.078) არსებული 15803 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად."

ლევან ჟორჟოლიანმა ასევე აღნიშნა, რომ ვინაიდან წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დანართში (დანართი N1) მითითებული პირის - გარიკ დავითიანის მინდობილობაში ქონების მიმღებ პირად განსაზღვრულია - აზნიფა დავითიანი, ხოლო, ვანო ჯოხარიძის მინდობილობაში ქონების მიმღებ პირად ფიქსირდება მისი დედა ლიანა ოღიაშვილი, განკარგულების პროექტის დანართი N1-ში გარიკ დავითიანის (N14) ნაცვლად უნდა მიეთითოს: აზნიფა დავითიანი პ/ნ: 03001004263, ხოლო, ვანო ჯოხარიძის (N30) ნაცვლად, უნდა მიეთითოს: „ლიანა ოღიაშვილი პ/ნ: 40001020268".

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე, მიზანშეწონილია, ხელშეკრულების პროექტში (დანართი N2) შეიცვალოს ხელმომწერ პირთა ჩამონათვალი, კერძოდ, მე-2 მუხლში და მე-9 მუხლის შემდგომ, გარიკ დავითიანის (N14) ნაცვლად, მიეთითოს: აზნიფა დავითიანი პ/ნ: 03001004263, ხოლო, ვანო ჯოხარიძის (N30) ნაცვლად, მიეთითოს: „ლიანა ოღიაშვილი პ/ნ: 40001020268"

საკითხის წარმომდგენმა გაიზიარა მითითებული შენიშვნები.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, მელაანის მე-V შესახვევის კორპუს N20-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.037.001.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მოქალაქე გიორგი ოქრიაშვილისთვის (პ/ნ 01011090162), მელაანის V შესახვევის კორპუს N20-ში მდებარე 31,97 კვ.მ უძრავი ქონების სიმბოლური ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

ნინო კვეტენაძის თქმით, ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს შესაბამისი წერილის მიხედვით დასტურდება, რომ გიორგი ოქრიაშვილი ოჯახთან ერთად 20 წელზე მეტია ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

ნინო კვეტენაძემ დაამატა, რომ გიორგი ოქრიაშვილის მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებით დასტურდება, რომ აღნიშნული პირი 1997 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს ზემოთ მითითებულ მისამართზე.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში უნდა მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად".

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი “ქ. თბილისში დიდი დიღომი, IV მიკრო რაიონში, მე-12 კორპუსის მდებარედ არსებული 2359 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.10.07.007.084) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულებების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №419 განკარგულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ეთხოვა, უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემის უზრუნველყოფა.

ნინო კვეტენაძის თქმით, წარმოდგენილი პროექტით ხდება, ქ. თბილისში, დიდ დიღომში მდებარე 2359 კვ.მ მიწის ნაკვეთის, მთავრობის N19.695.922 განკარგულებით განსაზღვრული ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად -1 (ერთ) ლარად გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ს: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტობუსის, სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, სიმბოლური ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას, „წმინდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზიაში" მოსწავლეთა ტრანსპორტირების მიზნით.

ნინო კვეტენაძემ დაამატა, რომ საკითხთან დაკავშირებით საგენტოში წარდგენილია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის წერილობითი თანხმობა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების („MERSEDES BENZ" მარკის ავტობუსის), სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტი და $118^1$ მუხლის პირველი პუნქტი.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ასევე უნდა მიეთითოს, საკრებულოს N21 -85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი, მე-2 მუხლის პირველი პუნქტი და მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.

როგორც ბატონმა ლევანმა აღნიშნა, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ასევე, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, მოხდეს პრივატიზებას დაქვემდებარებული უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის - „სიმბოლურ ფასად -1 (ერთი) ლარად" მითითება .

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ქ. თბილისში, გოთუას ქუჩის N21-ის მიმდებარედ არსებული 358 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.003.037) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, გოთუას ქუჩის N21-ის მიმდებარედ არსებული 358 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N 01.10.13.003.037) სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, სიმბოლური ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას, შემდგომში, სამრეკლოს მშენებლობის მიზნით

ნინო კვეტენაძემ დაამატა, რომ მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიიჩნევს, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემას, მომიჯნავე საკადასტრო ერთეულთან გაერთიანების პირობით.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტი. ასევე, საკრებულოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საბოლოო განხილვა იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთსმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მიმზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, სამღებროს ქუჩა №21 ის მიმდებარედ 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: (ს/კ: №01.18.03.064.072) და ქალაქ თბილისში, სამღებროს ქუჩა №21 ის მიმდებარედ 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.064.073) პირდაპირი განკარგვის წესით მიხეილ მანაშეროვისთვის (პ/ნ:01015003210) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მიხეილ მანაშეროვისთვის, ქ. თბილისში სამღებროს ქუჩა №21-ის მიმდებარედ, ჯამში 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2024 წლის 1 თებერვლამდე;
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასური განისაზღვრება - 1800 (ერთიათას რვაასი) ლარის ოდენობით.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ აღნიშნული პირის სარგებლობაშია ქალაქ თბილისში, სამღებროს ქუჩა №21-ში მდებარე ფართი 2024 წლის 1 თებერვლამდე.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის სათაური და პროექტის პირველ მუხლი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

ბატონმა ლევანმა აღნიშნა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით მხოლოდ ერთ სამ კვადრატზეა თანხმობა გაცემული, შესაბამისად სასურველია, რომ თანხმობა ასევე იყოს გაცემული იჯარით გასაცემ მეორე სამ კვადრატულ მეტრ მიწის ნაკვეთზეც.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დახარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქთ ბილისში, ტაშკენტის ქუჩა №31-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ:№01.10.14.004.043) პირდაპირი განკარგვის წესით მოსლემ ბაბახანისთვის (პ/ნ: 01491032850) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მოქალაქე მოსლემ ბაბახანისთვის, ქ. თბილისში, ტაშკენტის ქუჩა №31 ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას, კიბის უჯრედის გამოყენების მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 10 (ათი) წლით.
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვრება - 960 (ცხრაას სამოცი) ლარის ოდენობით.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული პირის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, ტაშკენტის ქუჩა №31-ში მდებარე უძრავი ქონება.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

27. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი VII კვარტალი, კორპუსი N2-ის მიმდებარედ 168 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.04.018.030) პირდაპირი

განკარგვის წესით შპს „სამეცნიერო-საწარმოო კომპანია სოვზისთვის“ (ს/ნ: 204446313) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „სამეცნიერო საწარმოო კომპანია სოვზისთვის“, ქ. თბილისში, ვაჟა ფშაველას გამზირზე არსებული, 168 კვ.მ მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას, გამწვანებისა და გასართობი მოედნის მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2026 წლის 28 მარტამდე
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასური განისაზღვრება - 5 500 (ხუთი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანია 15 წლის ვადით, იჯარით ფორმით ფლობს, ქ. თბილისში დოლაბაურის I ქუჩის და II ჩიხი №12-ის მიმდებარედ მიწის ნაკვეთს.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

28. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი №14-ის მიმდებარედ 18 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.046.014) პირდაპირი განკარგვის ფორმით შპს „გესთისთვის“ (ს/ნ:405245471) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „გესთისთვის“ ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი №14-ის მიმდებარედ 18 კვ.მ მიწის

ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2023 წლის 6 თებერვლამდე;
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვრება 3250 (სამი ათას ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს „გესთის" სარგებლობაშია ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი №14 ში მდებარე ფართი 2023 წლის 6 თებერვლამდე.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

29. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა №6 ის მიმდებარედ არსებული 21 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.14.031.055) პირადი განკარგვის წესით ლალი ჟღენტისთვის (პ/ნ: 01025004391) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე." ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მოქალაქე ლალი ჟღენტისთვის ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა №6-ის მიმდებარედ არსებული 21 კვ.მ მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედება განისაზღვრება 5 (ხუთი) წლის ვადით.
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასური განისაზღვრება - 3050 (სამი ათას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული მოქალაქის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა №6-ში მდებარე უძრავი ქონება

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საიჯარო გადახდის იქნას ტექნიკური თვალსაზრისით

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

30. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.027.029) 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ემზარ ბიწაძისთვის (პ/ნ:54001006993) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ემზარ ბიწაძისთვის, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე, 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 1 დეკემბრამდე;
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვრება - 1800 (ერთიათას რვაასი) ლარის ოდენობით.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული პირის სარგებლობაშია ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №27-ში არსებული უძრავი ქონება.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილუ ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

31. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, პუშკინის ქუჩა №5-7-ის მიმდებარედ 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის **(საკადასტრო კოდი: (ს/კ: №01.18.03.018.064)** პირდაპირი განკარგვის წესით **შპს „ფოტოპლაზა +“ისთვის** (ს/ნ:205028762) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, **შპს „ფოტოპლაზა +“ისთვის,** ქ. თბილისში, პუშკინის ქუჩა №5-7-ის მიმდებარედ არსებული **19** კვ.მ მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას, **ღია კაფეს მოწყობის მიზნით,** შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედება განისაზღვრება **5 (ხუთი)** წლის ვადით.
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვრება 3450 (სამი ათას ოთხასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

საკითხის **წარმომდგენმა** იქვე დასძინა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანიის საკუთრებაშია, ქალაქ თბილისში, პუშკინის ქუჩა №5-7-ში მდებარე უძრავი ქონება

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს

32 33. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "აუქციონში გამარჯვებულ შპს "ქართლიენერჯი"-სთვის (ს/კ 404561568) ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენებისთვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" და "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯი“-ს (ს/ნ:404561568) შორის 2019 წლის 22 მარტს გაფორმებულ იჯარის შესახებ №ე-455-1-23227 ხელშეკრულების ცვლილების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებათა პროექტები.

როგორც საკითხის წარმომდგენმა განმარტა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის N19.203.308 განკარგულების საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯი“-ს შორის 2019 წლის 22 მარტს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების თანახმად, აღნიშნულ კომპანიას გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარკვეული მიწის ნაკვეთები, 6 (ექვსი) თვის ვადაში ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით. საიჯარო ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს 1(ერთი) წლის განმავლობაში აღნიშნული კომპანიისთვის უნდა განესაზღვრა დამატებით 30 (ოცდაათი) ლოკაცია, ასევე, ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსებისა და შესაბამისი სერვისების მიწოდების განხორციელების მიზნით.

ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის წინამდებარე იჯარის ხელშეკრულებაში, რომლის მიხედვით, დამტენების განთავსებისა და შესაბამისი სერვისების მიწოდების ვადა განისაზღვრება 9 (ცხრა) თვით, ნაცვლად მანამდე არსებული 6 (ექვსი) თვისა.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი პროექტით ხდება, შპს "ქართლიენერჯი"-სთვის, მთავრობის N19.760.992 განკარგულებით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთების (12 (თორმეტი) ახალი ლოკაცია), პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით, მხარეთა შორის 2019 წლის 22 მარტს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად((1 კვ მ 4 (ოთხი) ლარის ოდენობით))

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულებათა პროექტების სათაურები გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულებათა პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულებათა პროექტებს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

34. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქ. №1-ში მდებარე 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.19.20.024.959) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნიკა 93"-ისთვის (ს/ნ: 406077793) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „ნიკა 93"-ისთვის ქ. თბილისში, კალოუბნის ქ. №1-ში მდებარე 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას, მიმდებარედ არსებული შენობის კომერციულ ფართში შესასვლელად, კიბის მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედება განისაზღვრება 10 (ათი) წლის ვადით.
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასური განისაზღვრება - 1100 (ათას ასი) ლარის ოდენობით.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვა შესაძლებლად მიაჩნია, ქალაქ თბილისის საკრებულოს N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესის მოთხოვნების გათვალისწინებით, ვინაიდან, დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთი წარმოადგენს სატრანსპორტო ქვეზონას.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

35. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისში, ონკოლოგიური საავადმყოფოს მიმდებარედ/ლევან ასათიანის ქ #19-ის მიმდებარედ არსებული 65599 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: #01 14 16 009 317), ქ თბილისში, დიღმის მასივში, III კვარტალში მდებარე 9030 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: #01.13.03.045.003), ქ. თბილისში, ბეთლემის ქ. #15-ში მდებარე ფართების (ს/კ: 01.18.03.072.064.01.500; #01.18.03.072.064.01.504; #01.18.03.072.064.01.505) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების და # 01.10.06.001.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე 28.12.2007წ. გაფორმებული ხელშეკრულებით (#8932/1) გათვალისწინებული, ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის სასარგებლოდ არსებული იპოთეკის და ვალდებულების გაუქმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტით ხდება, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, კოსტა ხეთაგუროვის ქუჩაზე მდებარე 800 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: # 01.16.06.063.007), ქ. თბილისში გიორგი ბრწყინვალეს ქ. #49-შიმდებარე 32303 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული #1 და #2 შენობა-ნაგებობების (ს/კ: 01.10.06.001.021) გაცვლა თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში (ქ. თბილისში, ონკოლოგიური საავადმყოფოს მიმდებარედ/ლევანს ასათიანის ქ. #19-ის მიმდებარედ არსებული 65599 კვ.მ მიწის ნაკვეთის, ქ. თბილისში, დიღმის მასივში, III კვარტალში მდებარე 9030 კვ.მ მიწის ნაკვეთის, ქ. „თბილისში, ბეთლემის ქ. #15-ში მდებარე ფართების) საპრივატიზებო საფასურით - 155 000 ( ას ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

საკითხის წარმომდგენის თქმით, აღნიშნული კომპანიის საკუთრებაში არსებული 800 კვ.მ მიწის ნაკვეთი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დაინტერესების საგანს, სარეკრეაციო სივრცედ განვითარების კუთხით. რაც შეეხება 32303 კვ.მ მიწის ნაკვეთს, მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული სპორტული ობიექტის შემდგომში შენარჩუნებას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღების გზით.

ქალბატონი ნინოს თქმით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დიღმის მასივში მდებარე 9030 კვ.მ მიწის ნაკვეთი წარმოადგენს დევნილთა განსახლების ობიექტს და მისი გამოყენება მოიაზრებოდა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ პროექტში, რაც მიზნად ისახავდა საცხოვრებელი პრობლემების მქონე პირთა საკითხების მოგვარებას. შესაბამისად, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ აღნიშნული მიწის საკუთრებაში მიღების

შემდგომ, ვალდებულია 19 დევნილი ოჯახი დააკმაყოფილოს საცხოვრებელი ბინებით, (ბინების საერთო ღირებულებით 540 800 აშშ დოლარის ფარგლებში).

ასევე, მომხსენებლის თქმით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პოზიციის მიხედვით, 65599 კვ.მ მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება უნდა განხორციელდეს გრგ ს ფარგლებში. ამასთან მიწის ნაკვეთი მოქცეულია ე.წ. „განაშენიანების კონტურს" მიღმა, რომლის კორექტირება შესაძლებელია შესაბამისი განხილვის და ქალაქგეგმარებითი დასაბუთების საფუძველზე.

საკითხის წარმომდგენის თქმით, გაცვლას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთები შეფასდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით,

- #01.16.06.063.007 საკადასტრო ერთეული კომპანიის მოთხოვნით შეფასდა კომერციული მიზნით გამოყენებად ნაკვეთად და არ იქნა გათვალისწინებული შეფასებისას მოქმედი ზონალობა (ტზ-1). მისი საბაზრო ღირებულება, საორიენტაციოდ განისაზღვრა 440 000 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხად ეროვნულ ვალუტაში 2019 წლის 26 მარტის მდგომარეობით.
- #01.10.06.001.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება შეფასდა ვაკანტური მიწის ნაკვეთის ღირებულებით და მსგავსი (ანალოგიური) შენობა-ნაგებობების ახლის მშენებლობის ხარჯებით, სამეწარმეო (დეველოპერის) მოგების გათვალისწინებით, რომლის დროსაც გამოყენებულ იქნა გარკვეული დასკვნა რომლითაც განისაზღვრა შენობა-ნაგებობების და გაუმჯობესებების ღირებულება. შედეგად უძრავი ქონების მთლიანი საბაზრო ღირებულება, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3 935 107 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხად ეროვნულ ვალუტაში, 2019 წლის 22 მაისის მდგომარეობით.
- #01.14.16.009.317 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება, საორიენტაციოდ განისაზღვრა 2 951 955 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხად ეროვნულ ვალუტაში 2019 წლის 12 აპრილის მდგომარეობით. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, 01.14.16.009.317 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება ეროვნულ ვალუტაში 2019 წლის 11 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 8 073 007 ლარს.
- (ს/კ: #01.18.03.072.064.01.500; #01.18.03.072.064.01.504; #01.18.03.072.064.01.505) მთლიანი საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ განისაზღვრა 438 853 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხად ეროვნულ ვალუტაში, 2019 წლის 19 ივნისის მდგომარეობით.
- #01.13.03.045.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება (ვალდებულების გათვალისწინებით) შეადგენს (4 343 430- 1 487 200) 2 856 230 ლარს.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების მისაღებად საკრებულოში წარმოდგენილია #01.10.06.001.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე 28.12.2007წ. გაფორმებული ხელშეკრულებით (#8932/1) გათვალისწინებული, ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის სასარგებლოდ არსებული იპოთეკის და ვალდებულების გაუქმების წინადადება, შემდეგის გათვალისწინებით: იპოთეკის და ვალდებულების გაუქმების შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილება ამოქმედდება ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან.

მომხსენებელმა განმარტა, რომ მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან საკითხის შეთანხმების შემთხვევაში, მისი თანხმობის გაცემიდან 3 (სამი) თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება დაინტერესებულ კომპანიასთან, თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოსაცემი უძრავი ნივთების რაიმე ვალდებულების (გარდა 28.12.2007წ. გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებისა) და უფლებრივად დატვირთვის გარეშე რეგისტრირებული მდგომარეობით არსებობის შემთხვევაში.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა დაემატოს საკრებულოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი. ამასთან, თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს, გაცვლის ფორმით პრივატიზებას დაქვემდებარებული, მიწის ნაკვეთების საპრივატიზებო საფასური, 155 000 ( ას ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

36. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქ. კვარტალი II, კორპუსი N1 ის მიმდებარედ არსებული 2027 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.707) გაცვლის ფორმით პრივატიზების გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტით ხდება, მოქალაქე ირაკლი ბაქრაძის (პ/ნ: 01005007890) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა N6-ში მდებარე 679 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.13.01.022.118) გაცვლა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 2027 კვ.მ. მიწის ნაკვეთში. საპრივატიზებო საფასურით 37 000 ( ოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

საკითხის წარმომდგენის თქმით, ირაკლი ბაქრაძის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის დაინტერესების საგანს, სარეკრეაციო სივრცის განვითარების კუთხით. 2009 წელს აღნიშნულ მიწის ნაკვეთს მიენიჭა სარეკრეაციო ზონა 1 ის სტატუსი, რის გამოც მეპატრონემ ვერ შეძლო სამშენებლო სამუშაოების ჩატარება. ქალბატონი ნინოს თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მიერ ბათილად იქნა ცნობილი საკრებულოს შესაბამისი გადაწყვეტილება აღნიშნული მიწის ნაკვეთის სარეკრეაციო ზონა 1 ის მინიჭების თაობაზე, ტერიტორიაზე მაშინდელი გენერალური გეგმის მიხედვით, ისევ მოქმედებდა იგივე ფუნქციური ზონა.

მომხსენებლის თქმით, გაცვლას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთები შეფასდა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. ექსპერტიზის დასკვნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2027 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2019 წლის 14 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 332 428 (სამას ოცდათორმეტი ათას ოთხას ოცდარვა) ლარის ოდენობით.

ექსპერტიზის დასკვნით, ირაკლი ბაქრაძის საკუთრებაში არსებული 679 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებამ, მასზე მოქმედი ფუნქციური ზონის გათვალისწინებით, 2019 წლის 7 მაისის მდგომარეობით შეადგინა 296 044 ლარი, ხოლო მოქმედი სარეკრეაციო ზონის არსებობის გათვალისწინების გარეშე იგივე მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებამ 2018 წლის 24 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგინა 296 058 ლარი.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, განკარგულების კროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა დაემატოს საკრებულოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი. ამასთან, თავმჯდომარის თქმით, სასურველია ტექნიკური ხასიათის ხარვეზი გასწორდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაურში და იგი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით. ასევე, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს, გაცვლას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთების საპრივატიზებო საფასური - 37 000 ( ოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

37-45. საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ - თინათინ ნიბლოშვილმა, სხდომას დამსწრე წევრებს, თბილისის სხვადასხვა რაიონებში ქუჩებისთვის ცნობილი ქართველი მსახიობების და რეჟისორების სახელების მინიჭების შესახებ ცხრა განკარგულების პროექტი წარუდგინა.

მომხსენებლის განმარტებით, ქართული კინოს 111 წლის შესრულების თარიღთან დაკავშირებით ხდება, დედაქალაქის გეოგრაფიული ობიექტებისთვის ცნობილი ქართველი მსახიობებისა და რეჟისორების სახელების მინიჭება. კერძოდ:

- ✓ ბელა მირიანაშვილის სახელი მიენიჭება, ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ლამის ქუჩის მონაკვეთს;
- ✓ დოდო ჭიჭინაძის სახელი მიენიჭება, ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ლამის ქუჩის შესახვევს, ლამის II ჩიხს და ასპინძის ქუჩის შესახვევის მონაკვეთს;
- ✓ ლეილა აბაშიძის სახელი მიენიჭება ქ. თბილისში, ისნის რაიონში, წერნაქის ქუჩის მონაკვეთს;
- ✓ ლიანა ასათიანის სახელი მიენიჭება, ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მახათას ქუჩის შესახვევს;
- ✓ მარინე თბილელის სახელი მიენიჭება, ქ. თბილისში, ისნის რაიონში, მახათას ქუჩას;
- ✓ გიორგი დანელიას სახელი მიენიჭება, ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩის მონაკვეთის, მასთან არსებული უსახელო ქუჩას და ერთ გასასვლელს;
- ✓ მედეა ჯაფარიძის სახელი მიენიჭება, ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, რევაზ თაბუკაშვილის ქუჩის ჩიხსა და შესახვევს;
- ✓ ვახტანგ ტაბლიაშვილის სახელი მიენიჭება, ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ერთ ჩიხს;
- ✓ გივი ბერიკაშვილის სახელი მიენიჭება, ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვასილ ბარნოვის II ჩიხს და ერეკლე ტატიშვილის I ჩიხს.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, ყველა განკარგულების პროექტში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომა და მიღების თარიღად, ნაცვლად „მაისი" სა მიეთითოს „ივლისი".

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულებათა პროექტებთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულებათა პროექტებს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

46-47. საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ - თინათინ ნიბლოშვილმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სერგო ზაქარიაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მსახიობ იაკობ ტრიპოლსკის სახელის მინიჭების შესახებ" და „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გია რომელაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო სპორტული მოედნისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ლევან შათირიშვილის სახელის მინიჭების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებათა პროექტები.

მომხსენებლის განმარტებით, ქართული კინოს დღესთან დაკავშირებით თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივითა და პროფესიული წრეების მოსაზრებების გათვალისწინებით, საბურთალოს რაიონში, სერგო ზაქარიაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭა მსახიობ იაკობ ტრიპოლსკის სახელი. ასევე, ნაძალადევის რაიონში, გია რომელაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო სპორტულ მოედანს მიენიჭა სოხუმის აეროპორტის დაბომბვის დროს დაღუპული მებრძოლის ლევან შათირიშვილის სახელი.

ქალბატონი ნინოს თქმით, ლევან შათირიშვილი დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით. მისივე თქმით, მოედანი, რომლის სახელდებაც ხდება მდებარეობს იმ კორპუსთან, სადაც ლევან შათირიშვილი გაიზარდა.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილ განკარგულებების პროექტებში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომა და მიღების თარიღად მიეთითოს „ივლისი".

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულებათა პროექტებთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულებათა პროექტებს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

48. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ **ლევან ჟორჟოლიანმა** კომისიის წევრებს, საკრებულოს წევრად ნინო რუხაძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და აღნიშნა, რომ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულების შესაბამისად, ცნობილ იქნა ქალაქ თბილისის საკრებულოში საარჩევნო სუბიექტის **„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“** პარტიული სიით არჩეული, ქალაქ თბილისის საკრებულოს გამოკლებული წევრის დავითი უჯმაჯურიძის ადგილმონაცვლედ, ამავე სუბიექტის პარტიული სიით საკრებულოს წევრობის კანდიდატი ნინო რუხაძე.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომისიის მიერ შემუშავებული განკარგულების პროექტი დაერთვება დასკვნას, რათა შემდგომ საკრებულომ ცნოს ნინო რუხაძის უფლებამოსილება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი ნინო ჯალაღანია